საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 744-02
28/03/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადების, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-18 მუხლისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 26 მარტის N4726-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევნები **6** (ექვსი) ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 1 აპრილიდან 5 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს ამ ბრძანებაში ასახული ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალისათვის.
7. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი